მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

მუშა

	1 წ.	6 თ.		3 თ.		1 თ.	
	მ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
თბილისში.	5	2	50	1	25	—	50
თბილ. გარ.	6	3	—	2	50	—	60
სამზღ. გარ.	10	5	—	3	—	1	—

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) უკანასკნელი ბურჯი ცარიზმისა და დესპოტიზმისა ირღვევა. 2) კრიტიკის მაგიერ პროტესტი. 3) ახალი ამბები. 4) პასუხი ლანჩხუთელი პროტესტანტებს და მათ წარმომადგენელს ბ-ნ თედორეს. 5) რუსეთის ქრონიკა. 6) კორრესპონდენცია. 7) დეპეშები.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

№ 17 კვირა 25 ივნისი 1906 წ. თბილისი № 17

რედაქცია სთხოვს ყოველგან ყველა ამხანაგებს, თანა-მოაზრეებს და იმათ, ვინც თანაუგრძნობს გაზეთის მიმართულებას, გაუწიოს ენერგიული დახმარება: ეკონომიური და იდეიური კოოპერაცია გაზეთის გამოცემის საქმეს: საღამოების გამართვით, სპეკტაკლების დადგმით, ხელის მოწერის გამართვით, და რეფერატებით.

ვთხოვთ პროვინციაში გაფანტულ ამხანაგებს ხელი შეუწყონ გაზეთის გავრცელებას, მოგვაწოდონ წერილები და კორესპონდენციები.

ვთხოვთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში ფულები ყოველ შაბათობით გვიგზავნონ თუ სურთ, რომ შემდეგისთვისაც მიიღონ გაზეთი

ჩვენ მზად ვართ დავუთმოთ ჩვენი გაზეთის პატარა კალონები **მუშის**, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

უკანასკნელი ბურჯი ცარიზმისა და დესპოტიზმისა ირღვევა.

დღეს რევოლიუციის ტვირთის ცენტრი გადადის ჯარში. ეს უკანასკნელი—დედა-ბოძი და ბურჯი ძველ დახავსებულ წეს-წყობილების ნიკოლოოზ და „Touti quanti-“ს მეფობისა, ეს იარაღი კაპიტალიზმის და ბურჟუაზიის ხელში, შეინძრა, ვეღარ იკავებს იმ სიმძიმეს, რომელიც ლოდივით აწვა დ აწევს თავზე, ვეღარ უძლებს იმ ჩაქუჩის კაკუნს, რომელიც მუდამ ესმის გარედან, გრძნობს, რომ ყოველდღეობით, საათობით და წუთობით აკლდება მას, ქვიან ბოძს, თითო აგურობით. თითო ქვით გრძნობს რომ ახლოვდება დრო, როდესაც ერთბაშათ უნდა იგრიალოს, შთანთქას და გაიტანოს ყველაფერი, რაც იმას აწევს. ეს დრო—არაა შორს, მშრომელო ხალხო, შენ კარგათ ხედავ და ჰგებულობ, რა მღელვარება სუფევს რუსეთის ჯარში და ფლოტში.

დასამტკიცებლათ, გადავავლოთ თვალი, რა ხდება დღეს რუსეთის ჯარში: არც ერთი ქალაქი არ დარჩენილა რომ ჯარის კაცებში, ზოგან აფიცრების მეთაურობით, არ მომხდარიყო მიტინგები და არ წამოეყენათ თავის მოთხოვნები. მაგალითად, ჯარის აღელვება: ბელოსტოკში, სევასტოპოლში, ეკატერინოსლავში, მოსკოვში, თითონ პეტერბურგში და სხვ. საყურადღებო ის არის, რომ მოძრაობა დაიწყო იმისთანა, პოლკებში, როგორც გუსარისა და პრეობრაჟენსკისა, რომელმაც მოჰამა დრო ხელმწიფეებისა პეტრე დიდიან დაწყებული ნიკოლოოზ მეორემდე. ეს ორი პოლკი, შეჩვეული ხელმწიფის სასახლესთან და მათ ამალებთან, დღეს რაღაც უუმაყოფილებას აცხადებს და მიტინგებს ჰმართავს. ერთს ამისთანა მიტინგს თითონ ნიკოლოოზი წააწყდა უცაბედათ გუსარის პოლკის სალდათს აფიცრების თანადასწრებით. ამათ რამ წამ დაინახეს, რომ ხელმწიფე მობრძანდება მაშინვე დაიფანტნენ კაზარმებში, მაგრამ გვიანღა იყო, „მამამ“ დაინახა და სასტიკი გამოძიება დანიშნა. მეორე პოლკი, პრეობრაჟენსკის, ხომ ხშირად მართავს მიტინგებს. ერთ-ერთ ამისთანა მიტინგზე წამოაყენეს მათ 19 პუნკტი მოთხოვნილებისა, რომელნიც ზოგი მუხლი შეუსრულა მთავრობამ და ზოგი არა. საბოლოოთ კი მაინც პირველი ბატალიონი პრეობრაჟენსკის პოლკისა გადაყვანილ იქმნა ნოვგოროდში, ახალ ფორმას აძლევენ, რათა განსხვავდებოდეს ლეიბ გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკიდან ეს ხომ გაწყრომაა, მა რა ჯანდაბაა! ჯარის კაცებს სასტიკად თვალ-ყურს ადევნებენ. ამ პოლკის პოლკოვნიკი ტრუბეცკოი, 4 კაპიტანი და 2 პორუჩიკი გადიყვანეს სხვა ქვეითა ჯარის პოლკშივე იმავე ჩინებით, მხოლოდ ობოლენსკის ჩამოართვეს ღირსება ფლიგელ-ადიუტანტობისა.

კურსკში არტილერისტების მიტინგი იყო გამართული, მიტინგს გარს შემოერტყა შეიარაღებული სალდათები. სალდათები აცხადებდენ, რომ მზათ ვართო ხალხის მხარეზე გადავიდეთო.

ოროვეცში არტილერისტებმა მორიგ აფიცერს ქვები დაუშინეს, ღამ-ღამობით მიტინგებს მართავენ.

ვლადივოსტოკის ჯარებს ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნები წამოუყენიათ.

კრასნოე სელოში ყოველ დღე დაბანაკებულ ჯარში მიტინგები იმართება.

ყაზახთა სტანიცები უარს ამბობენ პოლიტიკურ მოვალეობის შესრულებაზე.

კავკავში მე-18 სამთო ბატარეია აჯანყდა, ზარბაზანი დაუშინა იმ ბატარიებს, რომელნიც მხარს არ უჭერდნენ მათ. სალდათებმა აფიცრების კლუბი დაარბიეს, მთავრობამ ერთ ბატარეიას იარაღი აჰყარა.

ბათუმში აჯანყებულ ჯარის წინააღმდეგ გაიგზავნა თბილისიდან ორი ბატალიონი სტრელკების ტყვის ტყორცნელებით. ყარსიდან გაგზავნეს იქვე ბატარეიები, ზედ მიაყოლეს ქუთაისიდან ყაზახებიც. აჯანყებულთა ნაწილი, ალყა შემორტყმული იყო ახალ მოსული ჯარებით.

თბილისშიაც გუშინ დიდებული დღე იყო: საერთო გაფიცვა იყო მოხდენილი მთელ თბილისში, ყოველი წარმოება და ყოველი მოძრაობა იყო შეჩერებული. დილა ადრიანათ მარსელიაზის სიმღერით და მშრომელი ხალხის გაცილებით ჩაატარეს 27 გმირი ჯარის კაცი მინგრელსკის პოლკისა, რომელთაც ელის სიკვდილით დასჯა. ვაშა იმ პოლკს, რომელმაც გაზარდა ის 27 გმირი. თბილისის მცხოვრებლები პროტესტს და ზიზღს უცხადებენ სამხედრო სასამართლოს და უცხადებენ სოლიდარობას ამ გმირებს—საერთო გაფიცვით. ამ საშინელმა ხალხის ძალამ შეაფიქრიანა მთავრობა, ესა გრძნობს, რომ ამისთანა აქტი იჩენს თავს სხვა ქალაქშიაც და მაშინ ის დედა-ბოძი და ბურჯი, რომელზედაც ამყარებდა თავს ძალას მთავრობა, ხელიდან ეცლება და ინგრევა. ვაი, იმ მსაჯულებს, თუ დასჯიან, თქვენ ამხანაგ ჯარის კაცებს, მაშინ თქვენ თითონ, ამხანაგო, ჯარის კაცებო, მინგრელსკის პოლკისა გაეცით პასუხი მტარვალებს.

ყველა ეს ამბავი, მშრომელო ხალხო, თავზარსა სცემს ჩვენ ორ თავიან არწივს, იგი ერთ კუთხიდან მეორე კუთხეში ეცემა, გრძნობს, რომ ერთად ერთი ბურჯი მისი ინგრევა და ეხლა ებღაუჭება და ეკოწიწება ამ ბურჯს: ზოგან სასტიკ ზომებს ღებულობს აჯანყებულთა წინააღმდეგ, ზოგან იწყნარებს ჯარის მოთხოვნილებას, ზოგან ფულით ისყიდავს, ზოგან პოლიტიკას ხმარობს, ერთ ქალაქიდან მეორე ქალაქში გადაჰყავს ჯარი, რათა ადგილობრივი ჯარი უცხო ქალაქში უფრო ხამათ იქცევა და მკაცრათ და ადვილათ შეასრულებს მთავრობის ბრძანებას. რადგანაც იქ ჯარის კაცი თავის ღვიძლ ძმას, და დას, მამას არ ხვდება და უცხოს ადვილათ „იმეტებსო“ (ამბობს ლოღიკა მთავრობისა). ზოგან ერთ პოლკს, რო გზავნიან, მეორე პოლკსაც მიაყოლებენ, როდესაც პირველზე ეჭვს მიიტანენ და ორივესაც გაადევნებენ ხოლმე თავის ერთგულ კაზაკებს.

ამ ტაკტიკას მთავრობა უფრო აშკარად დაადგა საომარი წესის გამოცხადების შემდეგ მთელ რუსეთში. ერთად ერთი სახსარმა—საომარმა წესმა—მთავრობის ხელში უფრო გამოაფხიზლა ჯარის კაცნი, უფრო შეაგნებინა, ვინ არის მისი მტერი და ვინ არის მეგობარი? ამ წესის ძალით მთავრობამ ქუჩაში გამოჰყარა მთელი რუსეთის ჯარი ხალხის ასაწიოკებლათ. აქეზებდა წვას და ძარცვას ქონებისას, მთავრობა, როგორც კარგი მონადირე, აძებნინებდა და აჩხრეკინებდა თავის მეძებრებს, ყოველ დღე და ყოველ საათს ყველა გამვლელ-გამომვლელს ქუჩაში და მინდორშიც. აჩხრეკინებდა სახლებს ნადირის და იარაღის საპოვნელათ, მაგრამ როგორც ხედავთ ეს ნადირი ხელიდან უსხლტება. ჯარის კაცნიც ხედავენ, რომ რევოლიუცია კი არ ნელდება, უფრო მწვავდება, გრძნობენ, რომ ეს სენი გადაედო მათზე, ჯარზე და ეხლა ესენიც ბანს გაძლევენ შენ, თავისუფლებისათვის მებრძოლო ხალხო! გიხაროდეს, მშრომელო ხალხო, თქვენმა შრომამ უნაყოფოთ არ ჩაიარა; თქვენ თქვენი რევოლიუციონური სული ჩაჰბერეთ თქვენ მოძმეებს, ჯარის კაცებს, თქვენთან ერთად შესისხლ-ხორცებულ ძმებს. თქვენ აგრძნობინეთ მას, რომ ის

შენი ძმაა, შენ ჩააგონე მას რომ ის, სამსახურის გათავების შემდეგ ბრუნდება სახლში შენ ძმასთან, მუშათ, და შენთან ერთად იწყობს სიმართლის და თავისუფლებისათვის ბრძოლას იმათ წინააღმდეგ, რომელსა; წინად ისე მორჩილად ემსახურებოდა. შენ აგებინებ მას, რომ სახელმწიფო დღევანდელი, თუ მომავალი (გახსოვდეთ ეს) ართმევს უდროო დროს საუკეთესო შვილებს ოჯახისას და მუშა ბიჭებს, ზნეობრივად და გონებრივად საღებს. რომ ის აწყვდევს ოთხ კედელ შუა, რათა შეასწავლონ დისციპლინა და მორჩილება უფროსისა, შეასწავლონ სამხედრო ტაკტიკა, რათა მოიგერონ გარეშე მტერი. მაგრამ მშრომელო ხალხო, გკითხავ ვინ არის გარეშე მტერი? გარეშე მტერი შენ არ გყავს, გარეშე მტერი არის იგივე შინაური: ეს დღევანდელი მთავრობა და მომავალი—ბურჟუაზია და კაპიტალისტები—რომელიც ეძებს ახალ ახალ ქვეყნების შეძენას, ახალი ბაზრის მოპოვებას. რათა გაასაღონ თავიანთი საქონელი გარეთ, და შიგნით კი თითონ მწარმოებლებს მოაკლონ იგი. აი სამართალიც ეს არის!!! ამ ძველ (რუსეთში) ღ ახალ (ევროპაში) მთავრობის იარაღი—არის ჯარის კაცი, რომლითაც ბრძანებლობს, როგორც მორჩილ მონით. შენ ჩააგონე ჯარს, რომ სწორეთ ამ მონობის მოსასპობლათ იბრძვი დღეს, შენ მშრომელო ხალხო!

შენ აგრძნობინე მას, რომ ჯარის კაცი, შენივე მუშის ხელით დამზადებული იარაღით (ტყვია, წამალი თოფი, ზარბაზანი, ტყვიის მტყორცნელი ღ სხვა), კლავს და ხოცავს შენვე შენ ძმას, სხვისი ბრძანებით და შეუგნებლობით. დღეს შენ, მუშავ, ყველა ეს შეაგნებინე შენ ძმას ჯარის კაცსა და ხვალ ისევ მუშას, გამოაფხიზლე იგი და დღეს ის მხარს გიჭერს. გაფრთხილებ, მუშა, არ გაუშვა ის მომენტი, როდესაც ჯარის კაცები, როგორც ერთი სული აღსდგება და მაშინ თქვენთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული იბრძვის თქვენ მტარვალების მოსასპობლათ და ძველ წესწყობილების ძირიან ფესვიანად აღმოსაფხვრელათ, რათა აშენდეს სულ ახალი, ნორჩი, დამოუკიდებელი თემები ფედერატიულად შეკავშირებული.

გაფრთხილებთ კიდე თუ დროზე არ ისარგებლებთ ამ მომენტით და მხოლოდ ნანგრევებზე ააშენებთ ახალ რამეს, მაშინ ის წესწყობილება ზიანი იქნება. აქაც განმეორდება ის რაც დღეს დასავლეთ ევროპაშია. გამეფდება მეორე ბატონი, ბურჟუაზია და მასთან ერთად ფული. და ხელმეორედ, თუ არა მეტად, მოგიხდება მასთან ბრძოლა. იგი არ გააუქმებს მუდმივ ჯარს, იგი ისარგებლებს ხიშტით, რათა ჩაგაჩუმოს შენ მუშავ, როდესაც შენ მოინდომებ მისგან განთავისუფლებას.

მართალია, თუ შევადარეთ დასავლეთ ევროპის ჯარი და ჩვენი რუსეთის ჯარი სულ ცოტა რამ განსხვავებას ვნახავთ, მხოლოდ პირველი უფრო გაწვრთნილია და თავაზიანი, ვიდრე მეორე. ამის მაგალითი საფრანგეთია: აქაც როგორც სხვაგან დემონსტრანტების ღ გაფიცულების წინააღმდეგ გამოჰყავთ ჯარის კაცები და ცხენოსანი ჟანდარმები, როცა ესენი ხედავენ აუარებელი ბრბოს, მაშინვე შორიდანვე გაქანებული იერიშით მიდიან ხალხზე ასე გეგონებათ, აი, ეხლა დაიწყებენ ხოცვას, ჟლეტას ხალხისა, მაგრამ დროზე შეიკავებენ თავს (ეს პროცედურა ხდება შიშის გულისთვის) და თუ ბრძანება მოუვიდათ მაშინ, რასაკვირველია უმოწყალოთ დაიწყებენ ხალხის ჟლეტვას. რუსეთის ჯარი კი სხვაა. იმას თავის ინიციატივა არა აქვს ის გაყუჩებულია იმ დრომდე, სანამ რომელიმე ბრძანება არ გამოუვათ და თუ ოფიცრისაგან ბრძანება მიღებული აქვს, მაშინ ის, უნდობლად იწყობს ხალხის ჟლეტვას და ხოცვას. ორივე შემთხვევაში მთავრობა აქეზებს ჯარის კაცებს ამ საქციელზე.

ამიტომაც, მუშებო და შეგნებულო, ჯარისკაცებო, გამარჯვების შემდეგ დაუყენებლივ გააუქმეთ მუდმივი ჯარი, გააუქმეთ აყროლებული, არა გიგიენური ყაზარმები. ღ მის ნაცვლათ დაავალეთ სასწავლებელში სხვა საგნებთან ერთად შეასწავლონ ყოველ ნაირი იარაღის ხმარებას ყოველ ქალსაც და კაცსაც. უკუაგდეთ ეს ხიშტი, რათა ამ ხიშტზე არავინ გაბატონდეს. ხიშტის გაუქმებას ნიშნავს ყოველ ნაირ მთავრობის მოსპობას, მონარქიულია იგი, კონსტიტუციონალური თუ რესპუბლიკანური — ბურჟუაზიული.

მშრომელო ხალხნო, და ჯარის კაცნო ხედავთ, როგორ სარგებლობენ სხვა ბატონები თქვენი ოფლით, თქვენი ღონით, თქვენი ჯანით. თქვენი შენახვა ამ ვაჟბატონებს არაფრით უღირთ, თქვენვე კისრიდან ღებულობენ ფულს, ნუ თუ ამას არ მიხვდით? მერე რა დიდძალს ფულს გლეჯავენ შენ და ტყულა უბრალოდ ასაზრდოებენ მუქთა ხორა გენერლებსა, პოლკოვნიკების და აფიცრებს, მის მაგივრად რომ ეს ფული დახარჯონ შენი ცხოვრების გასაუმჯობესლებლათ, მის მაგივრად რომ დაგიარსონ შკოლები და განათლონ, მის მაგივრად რომ გაიყვანონ რკინის გზები და მით გაგიადვილონ მისვლა მოსვლა ერთ სოფლიდან მეორე სოფელში, ერთ ქალაქიდან მეორე ქალაქში ერთ ქვეყნიდან მეორე ქვეყანამდე და სხვა.

რათა ნათლათ დაგანახოთ, რამდენი ფული იხარჯება ჯარზე მთელ ევროპაში, მოვიყვან ციფრებს, რომელიც ეხლა შემთხვევით ხელში ჩამივარდა. ევროპაში დღევანდელი სამხედრო ბიუდჟეტი უდრის 10 მილიარდ ფრანკს*).

მარტო საფრანგეთში ეს სამხედრო ბიუჯეტი უდრის 7.101.260,000 ფრანკს.

ევროპაში 1899 წ. სამხედრო ბიუდჟეტი იყო 7.184.321,093 ფრანკი (მშვიდობიანობის დროს ამას ჰყავდა 4.109,321 კაცი. (თუ ემუშავნათ ამათ და დღეში თითო კაცის ნამუშევარი დავაფასოთ 3 ფრანკი) მაშინ ამ ჯარის დანაფასი შეადგენდა 12.507,963 ფრანკს.

ჰყავდა 710.342 ცხენი ამ ცხენებით რომ ესარგებლათ და დაახლოებით დღეში თითო ცხენის ნამუშევარის ფასი ჩავაგდოთ—2 ფრანკი) მაშინ იმ ცხენების დანაფასი შეადგენდა 1.420,687 ფრანკს. ამის ჯამი შეადგენს 13.928,647 ფრანკს მხოლოდ წელიწადში სულ იზამს 11.362.915, ფრ. 913 სამხედრო ბიუდჟესთან ერთად). ყოველ წელიწადს ეს ციფრი მატულობს, ყველა კი ეს იხარჯება ან მის ასაცდენად ანუ მის მოსამზადებლათ. ეს ციფრები ნათლათ გიმტკიცებთ, ამხანაგებო, რამდენ ძალას, რამდენ ფულს კარგავს ტყუილად მშრომელი ხალხი ბატონების წყალობით. ნუ თუ, თქვენც ჯარის ხალხნო, ვერ ხედავთ, როგორ იტყუება მთავრობა და როგორ უბრალოდ ფანტავს თქვენი ოფლით ნამუშევარ ფულს. მაშ, მეგობრებო სალდათებო, შეიგენით ეს, განაგრძეთ თქვენი მღელვარება, მოჰფინეთ ყველა ქალაქები, გაავრცელეთ სიტყვით და საქმით მშრომელ ხალხისგან ჩაგონებული სიტყვები და მომზადებული ამხერდით მტარვალების წინააღმდეგ.

ამიტომაც ჩვენ მშრომელი ხალხი, გიწვევთ თქვენ, ძმებსა სალდათებს ჩვენთან ერთად სრულ თავისუფლების დასამყარებლათ, მტარვალების და ბატონების მოსასპობლად და ყოველნაირი მთავრობის დამხობისათვის.

თავისუფალი.

*) ფრანკი არის 25 კ. დღევანდელი კურსი კი—36—38 კ.

კრიტიკის მაგიერ პროტესტი.

გასაკვირველია, წარმავალ მთავრობას ხოლერაზედ უფრო კრიტიკა ეჯავრებოდა და თუ ვინმე გაბედავდა და ხმას ამოიღებდა მათ სიკოტრეზე, ისიც მზათ იყო ღირსეულათ დაესაჩუქრებია, დამწერი. მზათ იყო ჯერ „რამანოვის“ წრეში მერმე ან ციმბირი ან კატორღა, გაზეთი კი რომელშიდაც იქნებოდა იმისი საწყენი რამე, ხომ საუკუნოთ უნდა გამოსალმებოდა წუთისოფელს ეს ძველი მთავრობა იყო. ყური შეჩვეული გვქონდა და არაფრად ვაგდებდით იმიტომ რომ უკეთესს არაფერს გამოველოდით იმისაგან უბრძოლველათ მაგრამ დახეთ ჩვენს განცვიფრებას, სოციალ-დემოკრა...
ჩვენს მომავალ-მთავრობასაც ...
ვრებია თურმე კრიტიკა? ...
მოყო თუ არა ანარქისტების ...
თმა „მუშამ“.

ლამპრისტები პილპილ ნაყ...
ერთ ალაგას ვეღარ გაჩერდნენ
იქით გაექანენ ხან აქეთ ხა...
წამოროშეს ხან რა მაგრამ ...
იმედი ვერაფერში ჰპოვეს და ...
მე გამონახეს ერთი საშუალება ...
მართეს მუშებს მოწოდებით ...
ამხანაგებო. თქვენ ხომ გაგიგ...
ანარქისტების ამბავი?

ისინი გაჩნდენ ქალაქში ...
არ შეგვშვენის იმათთან ბაას...
აბა თქვენ იცით როგორ ...
ტებს მიაყრითო (ბაასის ...
ვაი თუ შუა გზაზე შემოგვ...
საბუთები და პროტესტით ...
ფონს გავიდენ) მათაც მუშ...
საკვირველია არც კბილი ...
ჯეს და არც ღრძილი მათი ...
დების კანონიერს თუ უკანონ...
წოდებას, გასჭრეს ერთი კარ...
ოთხათ მისცეს ქაღალდი ...
დაქირავებულ მუშებს.

(ორი სარდაფში მომუშავ...
მე თითონ შემხვდა ლამპრის...
დაქირავებული მომაწოდეს ...
დი და კარანდაში მაგრამ შე...
პასუხი მიიღეს და გაუდგნენ ...
გზას) და შეუდგნენ რასაკვირვ...
ანარქისტების წინააღმდეგ ...
მოკრებას, მათ თავისუფალ ...
გასათელათ. მაგრამ არ ...
საბრალოებმა ის ანდაზა სეტყვ...
უთხრა კლდეს გამეცალე ...
დაგეცემი და დაგამტვრევო, ...
აბა რას გაეცლებოდა? სეტყვ...
ეცა და წყლათ იქცა. თქვენც ...
დეთ „ლამპრისტებო“ შავის ...
შედგენა ანარქისტების წინააღ...
მე დარწმუნებული ვარ შეგნ...
მუშას ვერ შეიყვანთ შეცდომა...
ბნელი ძალების ჩვენ არ გვე...
ეცადეთ თქვენი ფიზიონომია ...
ლავე დაანახოთ ხალხს და ...
ბულ მუშას.

გახსოვდეთ რომ ჩვენ ძალი...
„პრიკაზებით“ მოგროვილი „ოპ...
ჩენიე“ არა ვართ, რომ ...
მტრის წინ ქედი მოვიხაროთ, ...
ჩვენ ვართ თავისუფალი მებრძო...
და თქვენი მუქარა ჩვენ ვერ ...
შინებს... მებრძოლი და მხდალი ...
რე ის თავისუფალი მებრძო...
ყუმბარებით რომ დაგვეცე...
ნაც ვერ გამოგვაცვლევინებ...
მიზანს, თორემ მუქარით გ...
შეგვაშინოთ?

სწორეთ სასაცილოა. თქვენ ...
კვდავ-დაბერებულ აზრებთან იბ...
ლეთ, იმათზე იქნება გაიმარჯ...
თორემ ახალ ენერგიულ აზრ...
ბრძოლით ვერას გახდებით, ეს ...
თითონაც კარგათ იცით რო...
ასეა თორემ მაშ რამ გაიძულათ ...
პასუხის მაგიერ პროტესტებ...
დანოსებს მიჰყოთ ხელი? რით...
მორჩებით თქვენ გოროდცევ...

ისიც დიდი მოტრფიალეა ხალხზე ხალხის მისევისა მაგრამ, საბედნიეროთ ჩვენდა, იმასაც შორდებიან, თავისი თანამოაზრე წევრები. თქვენც ისე დაგემართებათ, თუ თქვენი განძრახვების ასრულებას შეუდექით. დანარჩენი მერე იყოს.

კ. ტ.

ახალი ამბავი

—

გუშინ წინ, ნაშუადღევის მეოთხე საათზე, ავქალის ქუჩაზე მოჰკლეს ზედამხედველი ივ. გაიდუკოვი. გაიდუკოვი ვაგონში იჯდა და სადგურისაკენ მიდიოდა. ვიღაც კაცი შეჰხტა ვაგონში და ესროლა რევოლვერი. მსროლელი მიიმალა. (ბრომა).

— როგორც გავიგეთ ტფილისელ სამღვდელოებამ მიმართა პროტესტით კავკასიის ნამესტნიკს სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ იმ 27 სალდათისა, რომელიც ირჩევა კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლოში.

— როგორც გავიგეთ, მეტეხის ციხეში, გუშინ-წინ დემონსტრაცია მომხდარა, იქაურ ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

— თბილისის გენერალ-გუბერნატორი სთხოვს ქალაქის თავს შეატყობინოს, რა მიზეზით 22 ივნისს ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი არ გამოცხადდენ სამსახურში.

— ამ დღეებში გაანთავისუფლეს მეტეხის ციხიდან ამას წინად ,,ელვის'' რედაქციაში დაჭერილნი კოკვაძე, იაშვილი, კალაძე, გოგუა, ბალიაშვილი, ოლიაძე და უთნელაძე.

— თბილისის გუბერნატორი, რომელიც წასული იყო სიღნაღის მაზრაში, საქმეების განსახილველად, უკვე დაბრუნდა თბილისში.

— 24 ივნისს ჰქონდა კრება უმუშაოთ დარჩენილთა ინტელიგენტების ბიუროს. გაარჩიეს პასუხი ქალაქის გამგეობისაგან, რასაც გამგეობა ატყობინებს, რომ ქალაქმა ვერ იშოვნა სესხი 20 ათასი მანეთი, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ბანკებს პეტერბურგიდან ნება დართეს ქალაქის სესხზე; ამნაირათ ქალაქს საშვალება აღარა აქვს დაკმაყოფილოს უმუშაოთ დარჩენელთა მოთხოვნილებანი.

— 23 ივნისიდან თბილისიდან მიმავალი მატარებელზე მსახურებენ ადგილობრივი რკინის გზის ბატალიონის სალდათები.

— 24 ივნისს 12 საათზე სომხის ბაზარში მოკლეს უბნის ზედამხედველი ლაზარევი.

— თბილისის გუბერნატორი სთხოვს ქალაქის თავს, რომ მან აუცილებლათ შეატყობინოს ქალაქის შესავალ—გასავალი 1906. წელ.

— 24 ივნის საღამოს 8 საათზე დანიშნულია კრება ქალაქის ამომრჩეველებისა. განიხილავენ თანამედროვე საკითხებს.

რკინის გზის მთავრობას აზრათა აქვს დაითხოვოს სამსახურიდან 22 ივნისის გაფიცვის გამო 117 კაცი, რომელნიც 22 ივნისს სამუშაოთ დანიშნული იყვენ და სამსახურში კი არ გამოცხადდენ.

— დაიჭირეს მემანქანე ჩიკულაევი და კანტორშჩიკი რკინის გზის გადასახადთა განყოფილების პასუხი.

— როგორც გადმოგვცეს ბორჩალოს მაზრაში თათრების მთებზე ასვლა უკვე დაწყებულა. მიუხედავათ იმისა, რომ წინანდელი განწყობილებანი დარღვეულია, იმედი აქვთ რომ გადასახადი თათრებს მშვიდობიანათ ჩაივლის. ყველა გადასახადები ჰყოფენ პარტიებათ ტ თითოეულს პარტიას ახლავს გამყოლი.

— რკინის გზის უფროსმა ნეგებაუერმა ერთს განცხადებას მოაყოლა მეორე უფრო მკაცრი განცხადება: „რადგან თბილისის უმთავრესი სახელოსნოები არიან მიზეზი არეულობისა და ამით ხაზინას ზარალს აძლევენ ვკეტავ სამხედრო წესების მოხსნამდე, თანაც აუცილებლათ ვცნობ გამოძიებამდი იქნეს ის მიზეზები, რომელსაც შემოაქვს მუდმივი არეულობა''.

— დაატუსაღეს პროკლამაციების დარიგებისათვის გიორგი ამნიაშვილი.

— სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ნოე ჟორდანიამ ტელეგრამით შეატყობინა 24 ივნისს ქალაქის თავს, რომ სათათბიროს დაადგინა მოსთხოვოს მინისტრებს განმარტება თბილისს საშიშ მდგომარეობაში ყოფნის გამო.

— ჩვენ გვატყობინებენ რომ ავჭალაში თავის სახლებში მოჰკლეს ზახარაშვილი. მიზეზი მკვლელობისა ჯაშუშობას ასახელებენ.

— გამოიცა ტ იყიდება კ. ორგიანის ბროშურა 1. შუშათა კეთილნები და მათი მნიშვნელობა. 2. სინდიკალიზმი კომუნიზმი „ჯამშუნა-სი“. ფასი 20 კაპ. იყიდება ქ. თბილისში ,,შუშის'' რედაქციაში და ქუთაისში ,,ეროვნების'' წიგნის მაღაზიაში.

—

პასუხი ლანჩხუთელი პროტესტანტებს და მათ წარმომადგენელს ბ-ნ თედორეს.

ლამპრის გუშინწინ-დელ ნომერში დასტამბულია ლანჩხუთელ მუშების პროტესტი ანარქისტების წინააღმდეგ და მათი მონდობილობით ხელს აწერს ბ-ნი თედორე.

მე არ ვიცი ვინ მიანდო ამ ლაწირაკს და უსუსურ ბავშეს გონებრივად ასეთი საქმე. მე არ ვიცი რა მუშაა ის მუშა ვინც პროტესტზე ხელს აწერს ნუ თუ ისინი ის შეგნებული და მებრძოლი მუშებია, რომლებმაც მებრძოლთა მებაირახტრობის სახელი დაიმსახურეს ნუ თუ ის იგი მუშებია, რომელნიც სიტყვის თავისუფლებისათვის თავგანწირულად იბრძოდა ეხლა კი თვითონ ახმობს სიტყვის თავისუფლებას. გაზ. „მუშას“ სახელი გამოუცვალეთო, ამბობენ. მე კი არ ვიცი რა ჭკუაში მოსდით მაგის ლაპარაკი, ნუ თუ ანარქისტ მუშას არა აქვს ნება იმ გაზეთის, რომელშიდაც ის თავის რწმენას და მიმართულებას სწერს, ქადაგებს თავისი სახელი „მუშა“ უწოდოს. მე არ მიკვირს თქვენი წინ დაუხედაობა მხოლოდ შემდეგში მაინც დაფიქრდით, რა ჭქენით? თქვენი პირით ვიღაც ქუჩის ლაწირაკი ლაპარაკობს. ლაპარაკობს ანარქისტების პატიოსნებაზე. ვაუბატონი თავისთავად არამც თუ ანარქისტების პატიოსნებას ვერ გაამტყუნებ, არამედ თვიმპყრობელობასაც ვერ გაამტყუნებს უპატიოსნობეში, რადგან თვითონ დიდათ დაშორებულია პატიოსნებას ვერ გაამტყუნებს იმიტომ რომ მისი ზნეობრივი სიდუხჭირე მთავრობის უზნეობაზე უფრო დაბლა სდგას.

ეგ თქვენი სირცხვილია პროტესტანტებო, მუშებო! გაიფიქრეთ ვის მოაწერინეთ ხელი თქვენ მაგიერად, ვინ არის ბატონი თედორე და ვინ ხარ თქვენ. ის ცხოვრებაში უალაგო კაცია, მას სიტყვების რახარუხი უყვარს, ის ვერ არის ნამდვილი გამომხატველი თქვენი იტერესების, ის იბრძვის, სწერს იმიტომ რომ სახელი მოიხვეჭოს. დიდი სირცხვილია იმ მუშისათვის, რომელიც თავისი საქმეს, უზნეო ადამიანს გადასცემს, ისეთ უზნეოს, როგორიც ის არის ბ-ნი თედორე. ნუ თუ არ შერცხვა როდესაც თავისი ნაწერი წაიკითხა, არა, არ შერცხვებოდა რადგანაც მეტის მეტი თავ-მოყვარეობა და სისულელე სჭარბობს უზნეობასთან შეზავებული: არახუნებდა დამტკრეულ წისქვილსავით, და ის, რაც ორი სიტყვით უნდა ეთქვა მთელ ისტორიათ გაუხდია, რაც პირზე მოსდგომია ის დაუწერია. თავის წერილში ერთ ალაგას სწერს უნდა მოისპოს ანარქისტების უგვანო საქციელიო, რომელიც სამარცხვინო დაღია გწერილებისათვის“. მაგრამ მე ვიტყვი, რომ უნდა მოისპოს თვითონ ბ-ნი თედორე, რომელიც ჩვენი ნამდვილი ცოდნით ყველა უზნეობაზე უზნეო უნდა მოისპოს, რომ თავის უზნეობას თავის სიდუხჭირეს მუშის ზნეობად არ სახავდეს. თედორე განაგრძობს: „სირცხვილი იმ პარტიას რომელსაც

გუშინ სოციალისტს უწოდებდა თავის თავს და ეხლა კი ყოველი მუშის პროტესტისწინააღმდეგ მიდის და ქედს არ იხრისო“. ნუ თუ ჭგონია ბ-ნ თედორეს რომ მის წინ მისი სულელური აზრების წინ! ანარქისტები ქედს მოიხრიან. ვამბობ სირცხვილი იმ პარტიას და იმ მუშებს, გახრწნილ . . . . . ნებას აძლევენ ილაპარაკოს მთელი პარტიის სახელით. ის არც პარტიის მომხრეა, არც მუშის, ის მხოლოდ . . . . . მომხრეა, და ამასთან ერთად ის პარტიის წევრია და მუშებას სახელით სისულელეს ჰბადავს. ანარქისტები მუდმივი დაუძინებელი მტერია ისეთი ადამიანების, როგორც ბრძანდება გარყვნილი ბ-ნი თედორე და რაც შეეხება მუშებს, ანაქისტებს, ერთი სიტყვითაც არ წამოსცდება მათ წინააღმდეგ, რადგან მათი ინტერესები ერთი და იგივე არიან, შენ და შენისთანა სხვა ყოველთვის და ყოველგან ღირსია ლანძღვა-გინებისა და მეტის-მეტი ზიზღისა. ეს სჯობს ხმა გაკმინდო და შემდეგში უფრო წინ დახედულათ ილაპარაკო.

დ. ე—ძე.

რუსეთის ქრონიკა

—

პარიზიდან „რუს. სლ.“ დეპეშით ატყობინებენ რომ ცნობილ გენერალ ბოგდანოვიჩს უცხოეთის ბანკებში შეუტანია თავის სახელზე 3 მილიონი მან. რომელიც მას შეუგროვებია დიდი ხნის პატრიოტულ მოღვაწეობის დროს. ბაგდანოვიჩს დაჰპირდენ ადგილს რუსის პოლიციის უფროსობას სამზღვარ გარეთ, გენერალს უკვე ჰქონდა მოლაპარაკება დურნოვსთან.

—

,,სოვრემენიკის'' რედაქციას მიუღია ცნობები იმ სოც.-დემ. პარტიის შესახებ რომელიც ამ დღეებში შესდგა პოლონეთში და ლიტვაშია ამ კრებაში იდებდა მონაწილეობას 35 ათასმა მუშა. დადგინეს, არ ჩაითვალოს შეცდომათ ტაქტიკა ბოიკოტისა სახელმწიფო სათათბიროსადმი. გარდა ამისა კრებამ გამოსთქვა აზრი კომიტეტის მიერ წამოყენებული რეგიზოლიუციია წინააღმდეგ, სათათბიროს უმრავლესობიდან მინისტრების მხარის დაჭერა.

—

ჟორესის გაზეთმა გამოაშკარავა რუსეთის კამარილის შეთქმულობა შეტანილი იყო პროგრომები პროვოკაციონური მანიფესტაციები მუშებისა, მღელვარება აგრარულ მოძრაობისა, რათა გამოეცხადებინათ სამხედრო დიკტატურა. ტრეპოვისა შეთქმულობას ნიადაგი არ ჰქონდა უფრო იმიტომ, რომ ის თავის დროზე გამოაშკარავებული იყო.

—

სემიონოვის პოლკის ჯარის კაცები შეუწყვეტლივ იღებენ წერილებს სამშობლოდან, რომ როგორ მოიქცენ გლეხების და მუშების დამშვიდებაშიო. ბევრის წერილებში მუქარაა, „რომ მოგისპობთ მშობლების ლოცვა-კურთხევასა და მიწასაო“. წერილები მათზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ. (სტრანა).

—

საზენსურო კომიტეტმა აღკრძალა ბროშიურა ვეტროვისა „ანარქიზმი, მისი თეორია და პრაქტიკა“.

კორრესპონდენცია.

—

ბათუმი. როგორც უკვე გაგებული გექნებათ, ბათუმში, პოლიციის მე-4 ნაწილში, მოჰკლეს პლასტუნთა აფიცერი კისლიცინი, რომელიც ცნობილი იყო როგორც ცეცხლისა და სისხლის მოყვარული საერთოდ და მის ქვეშევრდომ ჯარის კაცებთან კი სასტიკი და შეუბრალებელი. მკვლელები მიიმალნენ. შეიპყრეს მხოლოდ ორი უცნობი კაცი ქუჩაში, რომელნიც ეხლაც ციხეში სხედან და ელოდებიან „მართლ-მსაჯულებას‘‘.

დილიდანვე ყველა ყაზამრმებზე შავი ბაირაღი გამოაფინეს. აფიცრებს სამგლოვიარო ნიშნები გაეკეთებინათ. მიასვენეს მუსიკით სასაფლაომდე, ჩაუშვეს სასაფლაოში, მიახალეს რამდენიმე თოფი და დამარხეს, მაგრამ... განა რუსეთის იმპერიაში და მის თანამედროვე წესწყობილებაში საქმე ეგრე ადვილად თავდება?! ჯოჯოხეთს თუ ერთი ეშმაკი მოაშორეს, სამაგიეროდ ათასი საცხონებელათ განმზადებული უნდა წაწყმდეს!!. რას იზამ თათრული ანდაზისა არ იყოს: „ხმალიც მის ხელშია და თავიც მას უპირავს... უნდა მოგკრის, უნდა არა“ რუს „პატრიოტებმა“, „ტაშ-ში ერთგულად დამცველებმა“ გამოუშვეს პროკლამაცია, რომლითაც მოუწოდებენ „ნამდვილ მუშებს“ გაეტლიტონ და დახოცონ ებრაელები, ინტელიგენცია, სტუდენტები ქართველები... და ეს რამ გამოიწვია? მომაკვდავ აფიცრის სიტყვებმა, რომელმაც ოთხი ტყვიით განგმირულმა სიცოცხლის უკანასკნელ წუთში ძლივს წარმოსთქვა: „ბლუზიანმა მომკლაო“... წარმოდგენილი მაქვს, რა გონებაზე იქნებოდა ძაშინ განსვენებული და ან როგორ დაინახავდა მკვლელს, როდესაც, როგორც ექიმები ამტკიცებენ ჭრილობა ზურგადან იყო და წაქცეული პირქვე ეგდო... მაგრამ, ცხადია, ებრაელები, როგორც საზოგადოთ რუსეთის იმპერიაში უსათუოთ აქაც უნდა შუაში გაიქყლიტონ და ქართველები ხომ მუდამ ფხათ ჰყავდათ გაჩრილი რუსებსო... ეხლა მით უმეტეს! გაცარცვეს ვინმე—ქართველია, მოჰკლეს—ქართველმა მოჰკლა და სხ... ერთი სიტყვით კატამ რომ კუდი გაიქნიოს—ქართველის ბრალია...

მთელი დღე ხალხი შეშინებულია... თუ ვინმე გამოვა ქუჩაში, ისიც დამფრთხალი ირეგვით აქეთიქით ეხეოქება. ბაღი ცალიერია, თეატრში ხომ სულ არავინაა მიუხედავად იმისა, რომ დღეს გამოცხადებულია საზოგადოების საყვარელი ოპერეტა: „подъ звуки шопена“, რომელზედაც ჩვენი ინტელიგენცია თეატრის კასას ამტვრებს და სახეზე სიწითლეც კი არ ეკარება.

ჯერ-ჯერობით დღე მშვიდობიანათ მიდის, მაგრამ ყოველ წუთს მოველით უბედურებას. მხეცს დიდი ხანია სისხლი არ დაუნახავს და სწყურია! ვნახოთ ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს.

ამასთანავე, ამხანაგებო, გიცხადებთ ჩემს გულითად თანაგრძნობას! პრესის საშუალემით ლანძღვა გინება აღარ გვაკმარეს, ქუჩაშიც კი, უბრალო საუბრის დროს მხოლოდ ანარქისტები აკერიათ ენაზე... მხოლოდ ნუ გგონიათ თქვენზე კარგი რამ სთქვან!

ამ დღეებში აქ ჩამოვიდა ერთი ჩემი ნაცნობი ს. კ. თფილისიდან. თფილისის ამბებით მოწყურებულმა ვკითხე: ,,რა ამბავია თფილისში‘‘-მეთქი. ,,რაღა რა ამბავი ჩემო ძმავო‘‘—მიპასუხა;—,,შიშით ქუჩაში ვერ გამოვსულვართ, თუ ჯიბეში სამი მანათი გაგაჩნია, დაგეცემიან ანარქისტები, მოგკლავენ და ფულს წაგართმევენო“... არ დავასახელებ იმ პარტიას, რომელსაც ჩემი ნაცნობი ეკუთვნის, რადგან ამისთანა წევრიც ყოლია „რუს პატრიოტებსაც-კი“ შეარცხვენს და ჩირქს მოსცხებს. მხოლოდ ესთხოვ ამხანაგებს რომ ღონე იღონონ, დაუმტკიცონ ხალხს მათი სიმართლე, და ამით პირში ბურთი ჩასჩარონ ამისთანა შეუგნებელ ქუჩის ყბედებს.

არავინ.

—

ბოქრი. დღეს ცოტა არეულობა მოხდა აქაურ ბატარეის სალდათებში. მიზეზი ის იყო, რომ ერთი ამხანაგი-სალდათი სრულიად უდანაშაულოდ დაატუსაღა რვა დღით აფიცერმა. სალდათებმა მოითხოვეს მისი განთავისუფლება და მიაღწიეს კიდეც თავის მიზანს. კავკავიდან ბატარეის კამანდ. მოუვიდათ დეპეშა, რომელშიაც ის უბრძანებს აფიცერს ნუ დაურიგებთ წერილებს ჯარის-კაცებს თორემ აქაურმა ჯარის-კაცებმა ბევრი წერილი გამოგზავნამან არეულების მოსახდენათ ზრუნვის შესახებ. აგრეთვე სთხოვს სახლიდგანაც რაც წერილები მოსდით ჯარის-კაცებს, ნუ დაურიგებთო (ეტყობა ამ წერილებმა გაუტეხა თავი). კავკავიდგანვე ჩამოვიდა ერთი აფიცერი და რამოდენიმე ჯარის კაცი (გორში მდგომი 1 და 2 ბატარიები საზაფხულოთ ბანაკობენ კავკავში) მათ სხვათა შორის სთქვეს, რომ ყველაზე თავგამოდებით მოქმედებდნენ შორეულ აღმოსავლეთიდგან ჩამოსული ბატარეია და გორის მე 2 ბატარია. სხვათა შორის ჯარის კაცები დაეცნენ თურმე აფიცრების საკრებულოს, სადაც იმ დროს სადილობდნენ აფიცრები. ჯარისკაცებმა ქვები დაუშინეს ფანჯრებს. გამოვიდა კამანდირი—ნაცვლიშვილი (ეს სალდათებში ცნობილია, როგორც უკიდურესი რეაქციონერი). მას ერთი ქვა ესროლეს და თავი გაუტეხეს. ასევე მოექცნენ სხვებსაც. დაწვრილებით ცნობებს შემდეგ წერილში ვამცნობ მკითხველებს.

ის—ანი.

—

დეპეშები

(პეტერბურგის საგენტო დეპეშა).

—

სარატოვი. სარატოვის ოთხი შეიარაღებული დაეცნენ ტაზე, გაიტაცეს 1300 მან.

ხარკოვი. სააქციზო მოგან გატაცებული 13,000 საგან, ნახევარი ფული ეტლში და გზაზედ.

პოლტავა. შეიარაღებულმა რატმოქმედებმა მოიტაცეს ეკონომიიდგან თავადი კოჩუბოროტ მომქმედნი მიიმალნენ.

ვარშავა. ერობის დარაჯს ბროვსკის სოფელ პალცოვინში ცნენ სახლში, შეამტვრიეს მოკლეს იგი და მიიმალნენ.

— **ბაქო.** სამხედრო სასამართ ბაქოში გადაუწყვიტა სიკვდ დასჯა ჩამოხრჩობით, აღამოკ დანიელიანცს. პოლიციელის მ გამო. სასამართლოს დადგენ წარდგენილია.

განჯა. განჯის მაზრაში ლე შამხორსკის დაუშინეს სომხებმა და სალდათების რაზ შიშრად არის დაჭრილი.

პოლტავა, „პოლტავშჩინა-ყება: რომ ოსები რომელნიც ნენ როდვიანსკის მამულს. სიის მცველი ხმლით აკაფეს, ნენ საყდარში, მოიტაცეს და დალიეს საეკლესიო ღვინ მიიმალნენ. მეორე დღეს დაი 8 ოსი.

—

რედაქტორ-გამომცემელი
მიხეილ ლიასა

ამა ივნისს 22-დან ტფილისში გამოვიდა

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

გ ლ ე ხ ი

გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერესებს: **მიწა და თავისუფლება, მიწა მიწის მუშებს!** გაზეთი ხელს შეუწყობს მშრომ გლეხების განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საჭიროებას და ინობს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატი გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასი, რომელიც ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უმზადებს კაცობრობის განახლებას და ახალს, სამართლიანობასა, თანასწორობასა და სუფლებაზე დამყარებულს ცხოვრებას.

ფასი გასხვისისა: წლის დასაწყისშიდ 1 მან. და 60 კ., სამის თვით—80 ტაბლე №—6 კ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (საპიორის ქუჩა, № 43) წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

(5—1) რედაქტორ-გამომცემელი მ. ...

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.